№ 235

სამშაბათი, 2 ნოემბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 235

სამშაბათი, 2 ნოემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თავ. კონსტანტინე მალაქიას ძე, კნ. ანასტასია გიორგის ასული და ნინო კონსტანტინეს ასული გურიელნი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 6 ნოემბერს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისა

## ელენე კონსტანტინეს ასულის გურიელისას

გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 4 ნოემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა და ანასტასია აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

## ბედნიერი დღე

კომ. 3 მოქმედ., თხზ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა.

II

მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდგან

## ხანუმა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ანასტ. აბაშიძე, ნემიერიძე; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

**მზადდება ახალი პიესა გაბ. ხოშტარიასი „სიცოცხლე და სიკვდილი“.**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევი.** 5½—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (—1—წ).

## ქართველ ქალთა სამკერვალო

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა-კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—საოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ექიმი

## კ. ს. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—66)

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—21)

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა სოხუმის ოლქის უფროსის უმცროსი თანაშემწე შტაბს-კაპიტანი სმელნიცკი სენაკის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

გადაყვანილ იქმნა ტიხორეცკის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის უფროსი ჩუბინაშვილი უსტლაბანის კანტორის უფროსად. დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან კავკასიის რკინის გზის ფოსტის განყოფილების უფროსი ყიფიანი.

## ფელეტონი

### ორი სამრეწველო გამოფენა პეტერბურგში

მეორე გამოფენა პეტერბურგში გამართა „რუსეთის საიმპერატორო მებაღეობის საზოგადოებამ“ ერთ საუკეთესო, „ტავრიდად“ წოდებულ, სასახლის ბაღში. ეს იყო საზოგადოდ მებაღეობის ნაწარმთა გამოფენა და თუმცა ესეც მთელის რუსეთის სახელით გაიმართა, მაგრამ აქ მან თვისი სახელი სარძეო გამოფენასავით ვერ გაამართლა. მას უდიდესის რუსეთის მრავალ ადგილიდგან აკლდა მებაღეობის წარმომადგენელნი. სხვათა შორის კავკასიიდგან დღევანდელ გამოფენაზედ მხოლოდ ერთი წარმომადგენელი, მ. ფრიდონოვი (რომელსაც სხვის მამულის ნაწარმი ჰქონდა გამოფენილი) იყო. როდესაც გამოფენის ერთ მოსაქმეს შევეკითხე, კავკასიის—ამ მებაღეობის ქვეყნის—განყოფილება სად არის მეთქი, მან ფაცი-ფუცში სიჩქარით მიპასუხა: „Кавказъ съ своимъ садоводствомъ блистательно отсутствуетъ“-ო.

არ ვიცით ამ მოსწრებულის სიტყვებით ვისი დამცირება, ან ამაღლება უნდოდა, მაგრამ ის კი, რომ კავკასიის მებაღეობის წარმომადგენელნი მთელის რუსეთის ჰორთოველთ არ შეერთებიან. რამდენადაც მეტძევეთა გამოფენაზედ კავკასიის სამრეწველო გამონაფენმა თავი იჩინა თავისის ნარეწით, ყველა აალაპარაკა და საგონებელში ჩააგდო მრავალი მრეწველი,—იმდენად ბაღეულობის გამოფენაზედ უკან ჩამოდგა, პირველობა „თოვლის და სიცივის“ ქვეყნის ათასგვარ ცუდ გარემოებაში კულტურულ ნარეწთ დაუთმო.

მართალია, კულტურულ ნიადაგზე, მეცნიერების შემწეობით ნაწარმოებ მებაღეობით კავკასიის ნარეწი ბევრს ვერავის გააკვირვებდა, რასაც ტფილისის შარშანდელი გამოფენაც ჰმოწმობს, რომლის მნახველი დარწმუნდებოდა, რომ იგი ინტენსიურ მებაღეობით ნორჩია და მცოდნეებისაგან დიდ გაუმჯობესობას მოითხოვს, თუ-კი, რასაკვირველია, ამის ხელის შემწყობი თანხაც გაუჩნდათ.

ამის მიუხედავად, მისი მთელის რუსეთის გამოფენაში მიუღებლობა შეიძლება ექსპონატებს კიდეც უხაროდათ, რადგან ერთ მეტ მეტოქეს გადარჩნენ, მაგრამ რაც შეეხება მნახველებსა და გარეშეებს, ეს გარემოება მეტად აფიქრებდათ მით უმეტეს, რომ ზოგი იცნობს და ზოგსაც ყური აქვს მოკრული, რომ კავკასია მებაღეობა-მეცენარეულობის ქვეყანაა. ჩვენ-კი თუმცა ამ გარემოებას იმით ვხსნიდით, რომ კავკასიას სოხუმში ჰქონდა ერთ და იმავე დროს გამოფენა, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს „ტფილისის საიმპერატორო მებაღეობის საზოგადოების“ წარმომადგენელთ, რომ აქაურ გამოფენას პასუხი არ გასცეს.

რაც შეეხება უკავკასიოთ ახლანდელ გამოფენას, გამონაფენი ექსპონატები საკმარისს წარმოდგენას იძლევა მებაღეობის მრეწველობის განვითარებისას რუსეთში. ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ყირიმისა და ბესარაბიის მებაღეობას, საიდგანაც საუკეთესო ვაშლისა და მსხლის ექსპონატები ჰქონდათ წარმოდგენილი ტაურსკის, რომინს, საუფლისწულო მამულებიდგან—„ლივადია“ და „მასანდრას“ ბაღების ხეხილები და მრავალგვარი ყურძენი. ყირიმიდგან მარტო ახალი ხილები გამოაქვთ მთელ რუსეთის ბაზრებზედ 500,000-დგან—1,500,000 ფუთამდე. შემდეგ ვარშავის პომოლოგიურ ბაღის შესანიშნავი კოლექცია, გენერლის შმიტის (პოდოლის გუბ.), ვაშლისა და მსხლის ევროპიულად ნაწარმოები კოლექცია, სიმფეროპოლის საზოგადოების ხეხილები და სხ. დიდ ყურადღებას იპყრობდა მნახველებისას მეურნე ქალების ნაწარმოები ხეხილეულობა ქ-ნის კლოჩისა, დლუსკის (პოდოლის გუბ.), ნავროცკის, კნეინა მეშჩერსკისა (სმოლენსკის გუბ.). ამ უკანასკნელს გამოფენილი ჰქონდა შესანიშნავი ვაზი, რომელზედაც 20-მდე 5—6 გირვანქიანი მტევანი ება. ბოსტნეულობით შესანიშნავი იყო პეტერბურგის (ქ-ნი ვ. ე. გრაჩოვის) და მისის მიდამოების ექსპონატები. ამგვარსავე ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე კრონშტადტის ჯარის-კაცების ელექტრონით შემუშავებულ მიწაზედ აღმოცენებული ბოსტნეულობა. სამოსწავლო განყოფილებაში პირველი ადგილი კოხანოვის სახალხო სკოლას ეჭირა (მოგილიოვის გუბ.), შემდეგ ცარსკოსლავიანსკაია, ტულის მებაღეობის სკოლებს, უმანის ცარიცინის ბაღს, უმანისვე სამიწათ-მოქმედო სასწავლებელს და სხვ.

—

ბატონყმობის გაყრამდე საკმაოდ აყვავებული რუსეთის მებაღეობა მის შემდეგ ერთბაშად ეცემა. მანამდე მუქთა მუშა ხელით მოსარგებლე თავად-აზნაურობა მე-60-ე წლებიდგან სულ სხვა გარემოებაში გაცხვა. მას ახლა გარემოების მიხედვით ახალ გზა-კვალის გაკაფვა დასჭირდა და ეს სულ თვისის კერძო თაოსნობა, საკუთარ შრომა-გარჯაზედ უნდა დაემყარებინა. გუშინდელი მონა მუშა ხელი, რომელიც ბატონის ბძანება გამოძახილზედ ხელ-პირ დაუბანელი და თავ-ქუდმოგლეჯილი უნდა გამოსულიყო მბრძანებლის მამულის შესამუშავებლად,—დღეს მისგან არამც თუ ამგვარ სამუშაოსათვის ჯი

# ახალი ამბავი

*** საქართველოს ეგზარხოსი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე დაბრუნდა კახეთიდგან ტფილისში.

*** ცნობილმა საფრანგეთის მეცნიერმა ბარონ-დე ბაიმ 1 ლ ნოემბერს დაათვალიერა მხატვარის გ. ი. გაბაშვილის სახელოსნო, რომელიც ამ ჟამად სურათებს ამზადებს ხევსურეთის ცხოვრებიდგან და ისტორიიდგან. ეს ნაწარმოებნი და მრავალი სხვა სურათი დე-ბაის ძალიან მოსწონებია.

*** 1 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭომ, გამგეობის მოხსენების თანახმად, 110 მანეთი გადასდო ქალაქის გამგეობის მსახურად ყოფილის ჩიქოვანის ქვრივის სასარგებლოდ. იმავე კრებაზედ განხილულ და დამტკიცებულ იქმნა, ცოტაოდენის ცვლილებით: 1) ინსტრუქციის პროექტი აღმასრულებელ კომისიის დაფასებათა უწყებების გადათვალიერებისათვის და უძრავ მამულების დამფასებლების სახელმძღვანელოდ, 2) ინსტრუქციის პროექტი ტყეთა დ ბაღებისა აღმასრულებელ კომისიისა, და 3) წესდების პროექტი სულით ავადმყოფთა თავშესაფარის მოვლა-პატრონობის შესახებ. დასასრულ საბჭომ განიხილა გამგეობის მოხსენება ძაღლებზედ ბაჟის შემოღების შესახებ და გარდასწყვიტა—თითოეულს ძაღლზედ დაადოს წლიურად 1 მანეთი.

*** ტფილისში ჩამოვიდა სახელმწიფო სათავად-აზნაურო სადგ.-მამ. ბანკის წევრი ბ-ნი გორბენოვი, რომელსაც, სხვათა შორის, მინდობილი აქვს შეიმუშაოს ტფილისში საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის დაარსების საქმე.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამმართველო საყოველთაოდ აცხადებს, რომ მზრუნველის კანცელარიაში 5 ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება კენჭის ყრა იმ მთხოვნელებისათვის, რომელთაც სურვილი განაცხადეს აღზარდონ შვილები ნ. ე. ზუბალაშვილის მიერ შეწირულის თანხის სარგებლით.

*** მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს მომავალ წელს დაბალი სამეურნეო სკოლა ოძისის მამულში, რომელიც თავ. ერისთავმა შესწირა ხაზინას.

*** რამდენსამე ამომრჩეველს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისას საჩივარი შეუტანიათ, რომ საზოგადოების რწმუნებულთა არჩევნები უწესოდ მოხდაო.

*** 22 ოქტომბერს მოხდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილულ იქმნა ამიერ-კავკასიის მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთათვის დახმარების აღმოჩენის საქმე.

*** ქალაქის სამხედრო ბეგარის საკრებულომ 1-ლ ნოემბერს ჩააბარა მაზრის სამხედრო უფროსს 150 ახალი ჯარის-კაცი, 194 კაცის მაგივრად, რამდენიც დანიშნულია ჯარში წასაყვანად. საჭირო რიცხვი შეივსება თან-და-თან იმ ყმაწვილ-კაცთა მოძებნისა დაკვალად, რომელნიც დაიმალნენ სამხედრო ბეგარის თავიდგან ასაცდენად.

*** ტფილისის საკანტოროლო პალატის მოხელეთ შეჰკრიბეს ურთიერთს შორის 50 მან. დაჭრილ ბურთა და იმ ობოლთა სასარგებლოდ, რომელთა მამები ომში დაიხოცნენ.

*** ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ სთხოვა ქალაქის გამგეობას: უფასოდ დაგვითმეთ თათრის მოედანზედ ქალაქის სახლის ზედა-სართული განზრახულ წმ. ამოს სკოლის მოსათავსებლად, 5 წლის ვადითაო.

*** ამ ბოლო დროს საზღვარ-გარეთიდგან შემოაქვთ აყარებული აბრეშუმის თესლი. ეს თესლი თითქმის გამოუკვლეველად ისყიდება და მხოლოდ ზოგიერთ ფირმებს წარუდგენიათ გამოსაკვლევად 84,000 უნცი თესლი.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ განიხილა შემდეგი საგანი: რადა სცდილობენ სოფლის მცხოვრებნი ქალაქის წოდებაში ჩაირიცხონო, და სცნო ამ მოვლენის მიზეზად ის გარემოება, რომ გლეხებს ჰსურთ თავი განითავისუფლონ იმ აუტანელ ბეგარისაგან, რომელიც აღატაკებს თითქმის საკმაოდ შეძლებულ გლეხებსაც-კი. სოფლის მცხოვრებთა დასაკავებლად მიწაზედ, საგუბერნიო მთავრობამ საჭიროდა სცნო გაუქმებულ იქმნას საკომლო გარდასახადი და მის მაგივრად შემოღებულ იქმნას საადგილო-მამულო გარდასახადი; ამასთან სოფლის საზოგადოებანი უნდა განთავისუფლდნენ საურთიერთო პასუხის მგებლობისაგან ახალ გარდასახადის დაწესების დროს.

*** 1-ლ ნოემბერს პეტერბურგში დაბრუნდა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის გამიჯვნის საქმეთა რევიზორი დ. ს. ს. ბელენკოვი, რომელიც გამოგზავნილი იყო კავკასიაში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა ადგილ-მამულის მოსაწყობ სამუშაოთა სარევიზიოდ.

*** რადგან ტრაქტირების პატრონებზედ დარჩენილი გარდასახადი ბლომად მოგროვდა, ამის გამო ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას, წარმოგვიდგინეთ ასეთ ტრაქტირის პატრონთა დაწვრილებითი სიები, რათა დარჩენილ გარდასახადთა შესავსებად უფრო მხნე ღონის ძიებანი ვიხმაროთო.

*** იარმუკის ჩარჩები თურმე ბაზრამდე არ უშვებენ სოფლელთ და ჩალის ფასად ჰყიდულობენ მათგან სხვა-და-სხვა გვარ ნაწარმოებს. ამ ჟამად ისინი განსაკუთრებით გულმოდგინედ კარტოფილსა და კომბოსტოს ჰყიდულობენ. ფუთ კომბოსტოს, მაგ., იარმუკაში ჩარჩები 50—55 კაპიკად ჰყიდიან, მაშინ როდესაც ნიკოლოზის მოედანზედ ფუთი კომბოსტო 30—35 კაპ. ისყიდება.

სამეურნეო პოლიციას, რომელსაც საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციამ.

*** 3 ნოემბრიდგან 16 მდე ქ. გორში განიხილავს საქმეებს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1-ლი განყოფილება. ამ საქმეების განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ: სასამართლოს თავმჯდომარედ ე. ვ. ჩემესოვი და წევრებად დ. ე. ჩერნიკი და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე თავ. მ. ე. ერისთავი, ბრალმდებლის ამხანაგი ლ. ვ. მოსკალევი და მდივნის თანამდ. აღმ. ბ-ნი შატბერიშვილი.

*** 21 ოქტომბერს გორის მაზ. რის სოფ. ახალ-ქალაქში, კნეინის ნ. ა. თარხან-მოურავის თაოსნობით აკურთხეს საკვირაო სკოლა და სახალხო კითხვათა დარბაზი. კურთხევას დაესწრნენ: უგანათლებულესი კნეინა ე. ზ. გრუზინსკისა, რომელმაც სკოლის მზრუნველობა იკისრა, ადგილობრივი თავად აზნაურნი, მასწავლებელნი ი. ი. ფერაძე და ა. ი. ნატროშვილი და სხ. სწავლების შრომა იკისრეს: კნ. თ. ზ. თარხან-მოურავისამ და თ. ა. თარხან-მოურავისამ, ადგილობრივმა მასწავლებელ ქალმა ქ-ნმა მ. ა. კეზელმა და უგანათლ. თავ. გ. ა. გრუზინსკიმ. სკოლის მმართველობა თავს იდო კნ. ნ. ი. თარხან-მოურავისამ; საღმთო სჯულის მასწავლებლობა ადგილობრივმა მღვდელმა. სიტყვები წარმოსთქვეს: მამა-დავითის ეკკლესიის მღვდელმა მ. ნ. მაჭარაშვილმა, კნ. ნ. ლ. თარხან-მოურავისამ და ა. ი. ნატროშვილმა. მოსწავლეებად ჩაეწერა 60 კაცი, რომელთაგან ზოგი მოხუცია. ადგილობრივმა მამასახლისმა თავ. დ. ლ. თარხან-მოურავმა სადილი გამართა.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების განსაკუთრებულ კომისიას შესაძლებელად ვერ უცვნია საზღვარგარეთის ღვინოებზედ ბაჟის მომატება.

*** გაზ. „ყაზბეგის“ სიტყვით, რამდენსამე განათლებულ ოსს განზრახვა ჰქონიათ დააარსონ ოსურის წიგნების გამომცემელი ამხანაგობა. მათ უკვე შეუმუშავებიათ წესდების პროექტი, რომელიც საოანადო უწყებას წარედგინება დასამტკიცებლად. საზოგადოებას საგნად აქვს გამოსცეს ყველა ის რუსული და ოსური წიგნები და წერილები, რომელიც კავკასიას შეეხება.

*** შაორის ხეობის მცხოვრებთ, როგორც „ახ. მ.“-ს აუწყებენ, მთავრობისათვის საერთო თხოვნა წარუდგენიათ იმ ზარალის ზღვევის შესახებ, რომელიც მიუყენებია მათთვის შარშან შაორის ხეობაში დაბანაკებულ ჯარს.

*** რაც ჩარჩებს ქალაქში აღუკრძალეს თარეშობა, იმათ ფართო ასპარეზი მოიპოვეს ქალაქს გარედ, შარა გზებზედ, საიდგანაც სოფლელ ხალხს სურსათი შემოაქვს. ეს ჩარჩები თავს იყრიან კახეთისა და ერევნის გზა-ტკეცილებზედ და კავკავისა და ავჭალის გზებზედ, გზად უხვდებიან სოფლელებს და ძალათი ართმევენ სურსათს. ამ გარემოების გამო 2 ნოემბერს ქალაქის უფროსმა სამეურნეო სავაჭრო ზედამხედველმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, სამი ცხენოსანი კაცი დამინიშნეთ, რომ ქალაქ-გარეთაც ავლაგმო ჩარჩების მოქმედებაო. გთხოვთ ეს ახალი თანამდებობა დააარსოთ იმ სამის დარაჯის ნაცვლად, რომელნიც ქალაქის განაპირად ამ ჟამად ქალაქის მიწებს ადევნებენ თვალ-ყურს. ეს ახლად დანიშნული სამი ცხენოსანი ქალაქის ადგილებზედაც დაიჭერს თვალს და ჩარჩებზედაცაო.

*** კნ. ა. გ. მხეიძისა გვთხოვს დავბეჭდოთ იმ საღამოის ანგარიში, რომელიც 1-ლ ოქტომბერს გაუმართავს მას ახალ-სენაკში ადგილობრივის სამრევლო სკოლის ასარგებლოდ. მთელი შემოსავალი ყოფილას 121 მ. და 50 კ., დახარჯულა საღამოს გასამართავად (მუსიკისათვის და სურათების დასადგმელად) 68 მან. და 30 კ. დანარჩენი წმიდა შემოსავალი 63 მან. და 20 კ. გარდაუციათ დანიშნულებისამებრ.

*** ქალაქის გამგეობაში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ სასამართლოში საჩივარი იქმნას შეტანილი თავ. ორბელიანზედ, რომელიც მფლობელობის ძალით

---

ლდოს ელის, არამედ რაც ხანი გადის, თვისის პიროვნების და ინტერესების, სრულიად სამართლიანად დაცვასაც თხოულობს.

ამგვარად შეიცვალა რა მემამულესა და მუშა ხელს შორის დამოკიდებულების საშუალება,—მეურნეობამაც სხვა სახე მიიღო. ამავე დროს მათ ამგვარ დამოკიდებულებას მიემატება ტეხნიკის წინმსვლელობაც; რკინის გზებმა მიმოსვლა გააადვილა; გაუმჯობესებულმა სამრეწველო მანქანებმა მეურნეობაშიაც შეიტანა თვისი ძლევა-მოსილობა; უბრალო თოხი, ბარი, სახნისი, ხელით საფქველი წისქვილი, ფეხით საწნეხინავი (იმერულად—საწნახელი), ერბოს უბრალო ხის სადღვები, ყველის საკეთებელი ქვაბები და სხ. ამისთანა ისპობა და მისი ადგილი დაიჭირა ევროპიულმა გუთნებმა, ქარისა, ორთქლისა და წყლის წისქვილებმა, პრესმა, სეპარატორ-ცენტროფუგებმა და სხ. ამ მანქანებმა კი ამ დარგშიაც ძირიან-ფესვიანი ცვლილება მოახდინა და ძველი ექსტენსიური მეურნეობა ინტერსიურზედ გადიტანა. აი ეს დაედვა ახლანდელ მეურნეობას საფუძვლად და უმისოთ ვერც ერთი მხარე, ვერც ერთი კუთხე ვერ წამოჰყოფს თავს საერთაშორისო საეკონომიო ბრძოლაში.

სამეურნეო აღორძინებას ტეხნიკასთან ერთად, როგორც ვთქვით, ხელი შეუწყო მისვლა-მოსვლის გაადვილებამ და ასე ამ რიგად დღეს ვხედავთ, რომ მებაღეობა, რომლისათვისაც რუსეთში თითქოს ბუნება ხელის შემწყობი არ უნდა იყოს, ისე განვითარებულა, რომ შინაგან ბაზარში გასავლებას თხოულობს. ამას ჰმოწმობს მებაღეთა და მერძევეთა კრებები, სადაც მუდამ იმას გაიძახოდნენ, რომ საზღვარ-გარეთის საქონელს მომეტებული ბაჟი დავადოთ, რათა ამით სამშობლო სამეურნეო მრეწველობა ავაყვავოთ და ჩვენი მხმარებელი ჩვენვე დავაკმაყოფილოთო. მაგრამ ზოგიერთების ამგვარ პატრიოტულ გატაცებას, ვიწრო საეკონომიო მოსაზრებათ მსვლელობა არ მიეცა და არც ერთი კრების შუამდგომლობაში ასეთი შუამდგომლობა არ ჩაირიცხეს..

სტატისტიკური ცნობები რუსეთის რკინის გზით საქონლის გადაზიდვისა ამტკიცებს, რომ მებაღეობის ყველა დარგის (ხეხილისა, ბოსტნეულობისა ყვავილების და სხ.) ნარეწთა ბაზარი თანდათან ჰმატულობს. სხვათა შორის სამიწად-მოქმედო სამინისტრო დეპარტამენტის მიერ განმეორებით ამ გამოფენისათვის გამოცემულ წიგნიდგან *) სჩანს, რომ საზოგადო მებაღეობა და კერძოთ სამრეწველო მებოსტნეობა ვითარდება 1, ქალაქებისა და მასს ახლო-მახლო ადგილებში. 2, საფაბრიკო სამრეწველო ადგილებში და 3, რკინის გზების მახლობლად იმ სოფლებში, სადაც ნაადგი ხელის შემწყობია მებოსტნეობისათვის. მეურნეობის ამ დარგს რუსეთის გლეხ-კაცობაშიაც დიდი ადგილი უჭირავს. შემჩნეულიაო, ამბობს ბ-ნი ილინი, რომ ბოსტნეულობის ნარეწის მხმარებელი არის მკვიდრთა არა მარტო ინდუსტრიალური ნაწილი, არამედ მიწად-მომქმედიცაო. ვორონეჟის გუბ. გლეხების ბიუჯეტის გასავალში მწვანილეულობის ხარჯი 47 კაპ. უდრის სულზედ და აქედან უმეტესი ნაწილი ნაყიდიაო (იხ. მისი წიგნი, გვ. 225).

ისეთის ბუნების პატრონ ადგილებში, როგორიცაა პეტერბურგის მიდამოები, ძლიერ განვითარებულია სათბურებლი (парниково-тепличное) მებოსტნეობა. ზემოდ დასახელებულ წიგნის სიტყვით მთელ რუსეთის მებოსტნეობაში პეტერბურგის მიდამოს ნაწილს ვერც ერთი ვერ შეედრება თვისის განვითარებულ კულტურით. შიგ ქალაქის საზღვართა შორის 700—800-მდე ბოსტანია. ვიბორგის მხარეზედ და ნარვის ტრაქტზედ მსხვილ მებოსტნეებს ათასობით აქვთ სათბურებლები, სადაც აყარებული ბოსტნეულობა მოჰყავთ ზამთარ-ზაფხულ. ეს ბაღები მომეტებულად როსტოველ მოიჯარადრეებს აქვთ აღებული დესეტინა 100—200 მ. წელიწადში. ისინი რომ ვეღარ ასდიან პეტერბურგის ბაზარს, საგარაკო ადგილები: პეტერგოფი, პავლოვსკი, შლისენბურგი, კრასნოესელო, კრონშტადტი და სხ. აწვდიან იმათ ისეთ ნაადრევ ბოსტნეულობას. აქ მეტად გამწვავებულია სამრეწველო დამოკიდებულება მწარმოებელსა და მუშებს შორის, რასაც აქაც მათი უზომო როგორც ყოველგან, ცარცვა-გლეჯა მოსდევს. მოსულთა რიცხვში ბ-ნ ილინის წიგნით 115 საკმაოდ მსხვილ მებოსტნეთ, რომელთა წლიური შემოსავალი 3,000 მ. მეტია, ხოლო 711 მუშათა შემოსავალი 116 მ. არ ასცილდება (იქვე).

ამგვარივე მდგომარეობაა მოსკოვსა და მის მახლობელ მიდამოებში: იქაურ ბაზარში საბოსტნე ნარეწი 4 მილიონ ფუთს უდრის წლიურად და განსაკუთრებით აწარმოებენ კარტოფილს და კიტრს. მთელის იაროსლავის გუბერნიის 10322 მცხოვრებში 7,689 მებოსტნეობას ეწევა. ამ გვარად რუსეთის საუკეთესო ადგილებში მისვლა მოსვლის გაადვილებამ სოფლის მწარმოებელი მეურნე და ქალაქის მხმარებელი ერთი მეორეს დაუახლოვა და პირველთა სამეურნეო ნარეწი, როგორიცაა ხილეულობა და ბოსტნეულობა, მეორეთ მაგიდაზედ მიართვა.

(დასასრული იქნება)

*) „Очеркъ соврем. состоянія плодоводства, огородничества и виноградарства съ винод. въ Россіи и правит. мѣропріятія къ ихъ развитію“—1899 г. сбп.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისაკუთრებს დაბახანის ხრამს. ხრამით სარგებლობენ ქალაქის ყველა მცხოვრებნი, რადგან იქ დიდის ხნიდგანვე ხელშეუშლელად ჰრეცხენ სარეცხს და ამასთან ქალაქს, მიაჩნდა-რა ეს ხრამი თავისს საკუთრებად, მრავალი ფული დაუხარჯავს მისს დასასუფთავებლად.

*** ტფილისის პურის მცხობელთა სთხოვეს ქალაქის გამგეობას პურის ნიხრის მომატება.

*** 1-ლ მარტს გამომძიებელი შეუდგა ტფილისის მცხოვრების სიდონია გურიელის საქმის გამოძიებას, რომელსაც ჰბრალდება მცირე-წლოვან ბავშვთა გარყვნა, და პასუხის-გებაში მისცა „მოსკოვისა" და „ბათუმის" სასტუმროთა მოსამსახურენი ამ საქმეში გურიელთან მონაწილეობის მიღების გამო. გურიელი ჯერ თავისუფალია, ხოლო ის თორმეტის წლის ქალი კი, რომელიც გურიელის სახლში აღმოაჩინეს, ქალთა ტფილისის საავადმყოფოში წაიყვანეს, რადგან ამ სენით ავადმყოფი აღმოჩნდა.

*** სოფ. თიანეთი. 10 ოქტომბერს, ჯებოტელი ბეწიკა ძებნიაური, როდესაც მთვრალი მარტო გადიოდა მდ. იორში ფეხით, წყალში დაიხრჩო. დამხრჩვალის გვამი ხუთი დღის შემდეგ იპოვნეს წყლისგან ნაპირზედ გამორიყული.

*** 19 ოქტომბერს, სოფელ ღულელების ახლო იპოვნეს მკვდარი კაცის გვამი, რომელიც აღმოჩნდა დუშეთის მაზრის სოფელ ცხვარის-ჭამიაში მცხოვრები მკელა გაგასძე არაბული. 9 ოქტომბერს ის ყოფილა ნიშნობაში და იქიდგან დაბრუნებულა მთვრალი. ამხანაგებს თავი დაანება თურმე და უთხრა, რომ სოფელ ღულელებში წავალ ნათესავთან ღამის გასათევადო, მაგრამ მთვრალს ღამეში გზა ვეღარ გაეგნო, ღამე გარედ დარჩენილიყო, დასძინებოდა და იმ ღამეს სიცივეს მოეკლა. ერთს კვირის შემდეგ ძლივს იპოვნეს ჯაგებში მიგდებული მკვდარი კაცი, რომელსაც ცხვირი და ერთი ყური მოჭმული ჰქონდა.

*** ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ განსვენებულ ზუბალიშვლის-მიერ ქალაქისათვის შეწირული სარგებლის ქაღალდები და ობლიგაციები, რომელიც ამ ჟამად ტფილისის ხაზინაში ინახება, სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებას გარდაეცეს შესანახად. ყველა ეს ქაღალდები და ობლიგაციები, ტირაჟში უკვე გამოსულ 23,605 მანეთის ქაღალდებს გარდა, უდრის 193,776 მან., რომლის წლიური სარგებელი 9,500 მან. აღემატება.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამას წინად გაზ. „Петер. Вѣд."-დგან გადმობეჭდილი გვქონდა ბ-ნ იმერის წერილი კახეთის რკინის გზის შესახებ. ბატონი იმერი ამ წერილში ამტკიცებდა, რომ კახეთის რკინის გზა მეტად დიდს სარგებლობას მოუტანს მთელს კახეთს. ამ გზის წყალობით აუარებელ საქონელს გამოიტანენო. ეხლა იმავე გაზეთში დაბეჭდილია კახეთის რკინის გზის შესახებვე წერილი გრ. ნ. სიმონიჩისა. ბ-ნი სიმონიჩი არ ეთანხმება იმერის აზრს და ამბობს, რომ ახალ გზას კახეთიდგან იმდენი გამოსაზიდი საქონელი არ ექნება, რამდენსაც ანგარიშობენ, ამიტომ გზა მუდამ ზარალში იქნებაო. იმის აზრით ღვინოსაც-კი, რომელმაც ვითომ უმთავრესი შემოსავალი უნდა მისცეს რკინის გზას, ისევ ფურგუნებით დაუწყებენ ზიდვას და არა რკინის გზით, რადგანაც ასე უფრო იაფად დაჯდებაო.

„მაგრამ რკინის გზითაც რომ ჰგზავნონ ღვინო, მაინც შემოსავალი აქედგან გზას მხოლოდ 150,000 მან. ექმნება წელიწადში. თამბაქოს 50,000 ფუთის მეტს არ გაიტანენ წელიწადში. აბრეშუმიც 1000 ფუთი. ღორსა და ცხვარს რკინის გზით არ გაჰგზავნიან, ტფილისამდე კახეთიდგან მხოლოდ ასი ვერსია და ამ მანძილზედ ურკინის გზოთაც გადარეკენ საქონელს. რაც შეეხება ტყეს, ჩვენის აზრით, კახეთის ტყე მეტოქობას ვერ გაუწევს ქართლისას, საიდგანაც მტკვრით ჩამოაქვთ უფრო იაფად და ადვილად. რჩება-ღა მადნები, მაგრამ ეს მადნები ჯერ გამოუკვლეველია და ვერავინ იტყვის, რამდენი ფუთი მადნეულობა იქმნება გაზიდული. მგზავრიც, რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ცოტა იქმნება, რადგანაც კახეთში მხოლოდ 200,000 მცხოვრებელია.

ავტორის აზრით კახეთის გზა მაშინ მოიტანს დიდს სარგებლობას, თუ კახეთში არ შესწყდება და აჯი-ქაბულამდე იქმნება გაყვანილი.

„ამ გზამ უნდა გაიაროს თელავსა, ყვარელსა, ლაგოდეხსა, ზაქათალასა, ნუხასა, მატრასსა, შემახაზედ და აჯი-ქაბულთან ამიერ-კავკასიის რკინის გზას შეუერთდეს. მაშინ ახალ შტოს სიგრძე 400—450 ვერსი ექნება და გაივლის კახეთის გარდა სხვა ნაყოფიერ და მდიდარ ადგილებზედაცაო.

ეჭვი არ არის, ეს შტო უფრო დიდ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე ის, რომელიც მარტო კახეთში იქმნება გაყვანილი; მაგრამ ჩვენის აზრით, ავტორის სიტყვებს არავითარი ფასი არა აქვს, რადგან იგი ყოვლად დაუსაბუთებლად არის გამოთქმული.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** გაზეთების სიტყვით, როცა ინგლისის უკანასკნელი ჯარი გადავა გემებიდგან კაპის ახალშენში, სამხედრო გემები დარაჯობას დაიწყებენ ორანჟის წყლის შესართავსა და დელაგოას ნავთსადგურს შუა, რათა ბურებისათვის სამხედრო მასალის გადატანა ნაპირზედ არავის შეეძლოს. თუ საჭიროებამ მოითხოვა, გემებიდგან არტილერიას გადაიტანენ ნაპირზედ. ინგლისიდგან კაპის ახალშენამდის გზის დაცვა მინდობილი ექმნება განსაკუთრებულს ესკადრას.

ამ დღეებში ქალაქ პლიმუტის დეპუტატმა დოქტორმა კლარკმა სიტყვა წარმოსთქვა ტრანსვაალთან ომის წინააღმდეგ. ამ სიტყვამ ერთობ გააბრაზა მისი ამომრჩევლები, რომლებმაც კრება მოახდინეს და კლარკს დიდი საყვედური განუცხადეს. ამით არ დაკმაყოფილდნენ პლიმუტის მოქალაქენი და გარდასწყვიტეს, რომ კლარკმა დეპუტატობას თავი უნდა დაანებოსო. ეს გარემოება აშკარად გვიჩვენებს, ინგლისელები როგორ უჭერენ მხარს თავიანთ მთავრობას ტრანსვაალის წინააღმდეგ და რაც მეტი ამბავი მოდის მათი ჯარის დამარცხების შესახებ, როგორ მეტს ენერგიას იჩენენ მტერთან საბრძოლველად.

— როგორც „Polit. Korr." იუწყება, პორტუგალიას გადაუწყვეტია მტკიცედ დაიცვას ნეიტრალიტეტი ინგლის-ტრანსვაალის შესახებ და არც ერთს მებრძოლ მხარეს არ გაუმართოს ხელი. თუმცა ინგლისსა და პორტუგალიას შორის მეგობრული განწყობილება არსებობს, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც არ ჰფიქრობს ინგლისის ჯარებს ნება მისცეს ლორენსო-მარკეზიდგან თავისს სამფლობელოში გავლისა. მეორე მხრით ამასაც იუწყებიან, ვითომც ინგლისს გადაუწყვეტოს თავისი ჯარები გადასხას დელაგოას ნავთსადგურიდგან ხმელეთზედ, რისაც უფლება ვითომ ჰქონდეს მას პორტუგალიასთან დადებულის ხელშეკრულობის ძალით.

— საფრანგეთის ცნობილი სოციალისტი, მწერალი და დეპუტატთა პალატის წევრი—ჟორესი აფრთხილებს საფრანგეთის მთავრობას და საზოგადოდ სახელმწიფო მოღვაწეთ, რომ არ გაბრიყვდეთ—სამხრეთ აფრიკის საქმეებში არ ჩაერიოთო. ჟორესის სიტყვით, ხედავენ შეიძლება, რომ ინგლის-ტრანსვაალის ომმა დიდად არიოს მთელს ხმელეთზედ საქმეები და ამიტომ ჯერ ადრეა ითქვას თუ რითი დასრულდება ეს ომი. ჟორესს სანანურად მიაჩნია ის გარემოება, რომ ბევრს სურს ისარგებლოს ინგლისის გაჭირვებულ მდგომარეობით. მაგალითად ასახელებს საფრანგეთის ნაციონალისტებს, რომლებიც, მისის სიტყვით, ოცნებობენ საფრანგეთისა, რუსეთისა და გერმანიის კავშირის შესახებ ინგლისის წინააღმდეგ. იმათ (ნაციონალისტებს) სურთო,—ამბობს ჟორესი,—რომ რუსეთი გამაგრდის მთებისაკენ გაეშუროს. საფრანგეთი ეგვიპტეს შეესიოს და გერმანიამ ჩინეთში ის ადგილები დაიმორჩილოს, რომლებიც ამ ჟამად ინგლისის გავლენის ქვეშ იმყოფებაო. რა თქმა უნდაო,—განაგრძობს ჟორესი,—ამ უშვერო ხალხის ხელში არ არის ქვეყნის გამგეობა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხშირად მოხდება ხოლმე, როცა უშვერობა გადამდებ სენად გარდაიქცევა, და ამიტომ მეტი არ იქნება ასეთ უაზრო პოლიტიკის წინააღმდეგ ეხლავე ვიფიქროთო. რა შედეგი მოჰყვება ინგლისის წინააღმდეგ ასეთს აღაშფოთებას?—კითხულობს ჟორესი. უძლიერესი ომით, რომლის მსგავსი ძვირად მომხდარა ოდესმეო. ინგლისი თავისის არსებობისათვის, ცხადია, უკანასკნელ ძალ-ღონეს იხმარსო. მისი ფლოტი საშიში რამ არის და ამასთანავე არც განმარტოებული დარჩებაო. იმას იმედი უნდა ჰქონდეს იტალიისა, რომელსაც მხარს უჭერსო; უთუოდ, იაპონიაც მიეშველება მასო. გარდა ამისა, შეერთებული შტატები არას შემთხვევაში არ მისცემენ ნებას ზემო ნახსენებ სამს დიდს სახელმწიფოს მიწასთან გაასწორონ ის ერი, რომელმაც სიცოცხლე მიანიჭა მათო. მაშინ მთელს დედამიწას თოფის წამლის ალი მოიცავს და საშინელ ომის გათავების შემდეგ საფრანგეთი დაინახავს, თუ როგორ მოსტყუვდა, როცა ხელში არა დაურჩებარაო.

## დააკვირდი

დედაკაცი მხოლოდ მაშინ არის ძლიერი, როდესაც თავისის უძლურებით აღიჭურვება ხოლმე.

ბაირონი

***

სამარცხვინოა, თუ არ მიაგებ მეგობრებს მადლსა, თუმცა-და ესე მადლიც შენ და იგინიც ღირს არიან ამის.

კვიროსი

***

კარგია ადამიანმა ბევრი რამ იცოდეს, მაგრამ საუკეთესო ცოდნა-კი პატიოსნურად ცხოვრების ცოდნაა.

ბ. დ—შვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ულამაზეს ქალად მთელს ინგლისში დღეს ადელია კლემონსი ითვლება. ამას წინად კენსინგტონში კლემონსმა სილამაზისათვის საჩუქარი მიიღო იმ კომიტეტისაგან, რომლის თავმჯდომარედაც იორკის ჰერცოგინია იყო. მისს კლემონსი თუმცა ცნობილის დედმამის შვილია, მაგრამ ინგლისის უმაღლესს საზოგადოებაში მხოლოდ ამ ბოლოს დროს იქმნა მიღებული, ისიც სილამაზისა და არა შთამომავლობის გულისთვის. დღეს ყველა ოჯახში კარი გახსნილია ამ ლამაზის ქალისათვის. ყმაწვილ კაცებს უკვე რამდენიმე დუელი ჰქონდათ თურმე მისს კლემონსის გამო.

***

ამერიკელი ნელლი მილე ერთად ერთი ქალია მთელ დედამიწის ზურგზედ, რომელსაც სამხედრო ორკესტრის კაპელმეისტერის თანამდებობა უჭირავს. პაპა მილესი მემუსიკე ყოფილა, დედა პიანინოს კარგი დამკვრელი, ხოლო ბიძა შვილი რობერტ ვილიამი გამოჩენილი მემუსიკე და ნიჭიერი მხატვარი. ქ-ნ მილეს თანამდებობის აღსრულების დროს ყოველთვის თავისს რაზმის ფორმა აცვია ხოლმე.

***

საფრანგეთის მეფენი ლიუდოვიკო XVI და ლიუდოვიკო XVIII ცნობილნი იყვნენ როგორც კარგის მადის პატრონნი და კარგი მჭამელნი. 1792 წ. არეულობის დროს მეფე ლიუდოვიკო XVIII იძულებული გახდა კონვენტთა სადგომისთვის შეეფარებინა თავი. სწორედ ამ დროს კრება იყო ამ კონვენტისა. მისვლისათანავე მეფემ საჭმელი მოითხოვა. თუმცა დედოფალმა მარია-ანტუანეტამ უთხრა, რომ სირცხვილია კრების დროს პურის ჭამაო, მაგრამ მეფემ მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როდესაც შემწვარი დედალი და პური მოუტანეს. ერთხელ იმავე ლიუდოვიკომ სადილი გამართა. სტუმრების წინაშე ბოდიში მოიხადა მცირე სადილისათვის, თუმცა წვნიანი 4 თავისაგან შესდგებოდა, უწვნო—100 თავისაგან და ტკბილეულობა—80 თავისაგან.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ოქტომბერი

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა გენერალ ბულლერისაგან 29 ოქტომბერს კაპშტადტიდგან მიღებული: „გუშინ იმ ურმებს, რომლითაც სურსათი და იარაღი მიჰქონდათ, ბურები დაეცნენ. ექვსი კაცი დაიღუპა. ურმები სურსათით დაიკარგა".

მთავრობის ბრძანებით ახალი ჯარია მოწვეული, რომელიც 8 ნოემბრისთვის უნდა შეიკრიბოს. ებრძანა მე-50 დივიზიას მომზადდეს სამხრეთ აფრიკაში წასასვლელად.

**პარიჟი.** ლიუქსემბურგის სასახლიდგან გამოსვლის დროს მოწმეებმა რამდენიმე მანიფესტაცია მოახდინეს. ზოგი „გაუმარჯოს როშფორს!" გაიძახოდა და მარსელიოზას მღეროდა. პოლიციამ გაჰფანტა მანიფესტანტები.

**ვენა.** როდესაც მინისტრმა კერბერმა ლაპარაკი დაიწყო მორავიაში მომხდარ არეულობების შესახებ, ჩეხებმა საშინელი ყვირილი შეჰქმნეს. ჩეხები არაფრის გულისათვის არ დაწყნარდნენ, რის გამო კრება შეჩერებულ იქმნა. კრების განახლებისას თავმჯდომარემ დაამთავრა თავისი სიტყვა. ამ სიტყვას უმრავლესობა ტაშის-ცემით მიეგება, ხოლო ჩეხებმა ხელ ახლა მორთეს ყვირილი და სტვენა.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო". ბულლერისაგან მიღებული ოფიციალური დეპეშა იუწყება: „29 ოქტომბერს რაზმს, რომელიც რეკოგნოსციროვკისთვის იყო გაგზავნილი, შეტაკება ჰქონდა ორანჟის მდინარესთან, ბელმონტის მახლობლად. მოკლულ იქმნა პოლკოვნიკი ფალკონერი. ორი პორუჩიკი და ორი ჯარის-კაცი დაიჭრა".

**კაპშტადტი.** როგორც დორტრეხტიდგან იუწყებიან, გუშინდლამდე ბურები არსადა სჩანდნენ თურმე. ალივან-ნორტამში ბურებს ყოველ საათს მოელიან.

**მოლტენო.** „რეიტერის სააგენტო". გუშინ ხმა გავრცელდა, რომ უესანთან დაიღუპა ერთი გემი, რომლითაც ინგლისის ჯარი იყო გაგზავნილი სამხრეთ აფრიკაში. საზღვაო პრეფექტურას ამის შესახებ ჯერ არავითარი ცნობა არ მოსვლია.

**პარიჟი.** „Matin"-ი და „Eclair"-ი იუწყებიან, რომ კონსტანტინის პროვინციაში, სახელდობრ ფილიპპვილსა და ბუჟში, რამოდენიმე კაცი გახდა შავის ჭირით ავად და გარდაიცვალაო. ექიმი შანტიმესი იქმნა გაგზავნილი იქ.

**კონსტანტინე.** რამდენიმე კვირაა, რაც ფილიპპვილსა და ბუჟში რაღაც საეჭვო ავადმყოფობა გაჩნდა. მაშინვე საჭირო ზომები იქმნა მიღებული. ორი კვირაა ავად აღარავინ გამხდარა.

**ლისაბონი.** გაზეთები იუწყებიან, რომ პროფესორი—ბაქტერიოლოგი პესტანი, რომელიც ოპორტოდგან მოვიდა, შავის ჭირით გახდა ავადაო.

**კაპშტადტი.** 27 ოქტომბერი. პრეტორიიდგან მიღებული დეპეშა იუწყება, რომ 26 ოქტომბერს ბურებმა ყუმბარები დაუშინეს კიმბერლეისაო.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ." კაპშტადტიდგან იუწყებიან, რომ აქ მოვიდა სამი გემი 3,676 ჯარის-კაცითაო. ორი გემი დურბანში იქმნა გაგზავნილი.

31 ოქტომბერი

**ბუკლუესტი.** 25 ოქტომბერი. „რეიტ. სააგენტო". ბურების გენერალმა კრონიემ შეუთვალა პოლკოვნიკს კეკევიჩს კიმბერლეიში, დილის ექვს საათამდე დამმორჩილდი და ქალაქი გადმომეცი, თორემ ყუმბარებს დაუშენო. ქალები და ბავშვები ქალაქში დარჩნენ. ბურები მთელ ქალაქს შემოერტყნენ. ბურებს მძიმე და შორს მსროლელი ზარბაზნები აქვთ.

როგორც კაპშტადტიდგან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, პოლკოვნიკს კეკევიჩს უცნობებია ბულლერისათვის, რომ ბურებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერავითარი ვნება ვერ მიაყენესო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს" ატყობინებენ კაპშტადტიდგან, რომ ბურები თავს დაესხნენ მეფკინგს. ინგლისელებმა გასდევნეს მოწინააღმდეგე, რომელმაც 50 კაცი დაჰკარგა. დეპეშაში არ არის ნათქვამი, როდის მოხდა ეს ამბავი, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ წარსულ კვირასაო.

1 ნოემბერი.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ შემდეგი დეპეშა გამოაქვეყნა კაპშტადტიდგან 30 ოქტომბერს გამოგზავნილი: „კეკევიჩი იუწყება კიმბერლეიდგან, რომ 30 ოქტომბერს მოწინააღმდეგემ მოიწადინა საქონლის გარეკა. როდესაც ინგლისელნი მოვიდნენ, ორანჟის ბურებმა უკან დაიწიეს. ტრანსვაალის ბურებმა იერიში მიიტანეს კენილვორტზედ, მაგრამ მსუბუქმა ცხენოსანმა რაზმმა უკან დასწია. შემდეგ მოწინააღმდეგემ ყუმბარების სროლა დაიწყო, მაგრამ ზარალი არავითარი არ მიუყენებია. მოწინააღმდეგემ, უთუოდ, ძალიან იზარალა, მარტო ერთის ადგილიდგან ექვსის მოკლულის გვამი წაიღეს. საღამოზედ გამოჩნდნენ ახა-

ლი რაზმები ბურებისა. ინგლისელებმა სროლა დაუწყეს. სროლამ საღამომდე გასტანა. ჩვენის მხრით მოკლულ იქმნა ერთი კაცი, ხოლო დაჭრილი—ორი“.

მეფეკინგიდგან იუწყებიან, რომ ორი დღე მოწინააღმდეგე ყუმბარებს უშენდა ქალაქს, შემდეგ სამის მხრიდგან იერიში მიიტანა, მაგრამ ინგლისელთ უკან დასწიეს. მოკლულ იქმნა რვა ბური.

**დურბანი.** სამხედრო გემმა გადასხა ნაპირზედ ერთი ბრიგადა. ამ ბრიგადას თანა აქვს 22 ზარბაზანი.

**ესტკორტი.** გათენებისას ზარბაზნების სროლის ხმა მოისმოდა ლედი-სმიტიდგან. ჰფიქრობენ ეს ხმა ინგლისის ზარბაზნებისაო.

**კაპშტადტი.** კიმბერლეიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ამ ქალაქის მახლობლად, კასტერსის ფერმასთან ბრძოლა მოხდაო. ინგლისელებს მოუკლეს ერთი კაცი და დაუჭრეს ერთიეე. ბურებმა-კი ექვსი კაცი დაჰკარგეს.

**ლონდონი.** გენერალ ბულლერის ოფიციალური დეპეშა შემდეგ ამბავს იუწყება ბელმონტის ბრძოლის შესახებ: „პოლკოვნიკის გაუს ჯარი ბელმონტის მახლობლად შეჰხვდა ბურების რაზმს, რომელიც 700 კაცისაგან შესდგებოდა. ქვეითა რაზმმა ბრძანება მიიღო მოეარა მოწინააღმდეგისთვის და იერიში მიეტანა ბურების ბანაკზედ. ამ დროს იქმნა მოკლული ✝ დაჭრილი ის ჯარის-კაცები, რომელთა შესახებ წინად ვიუწყებოდით. ბრძოლის შემდეგ, რომელმაც სამი საათი გასტანა, ჯარი უკან ბანაკში დაბრუნდა. ერთი დაჭრილი პორუჩიკი გარდაიცვალა.

**ლონდონი.** დღეს მივიდა ნატალში სამხედრო გემი ერი-ის ბატალიონით.

**ბარსელონა.** მანიფესტაციები ჯერაც არ მოსპობილა. ეშინიათ, უარესი ამბები არ მოხდეს.

**ოდესსა.** მსწრაფლის მატარებლით მობრძანდა აქ დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე და ქალაქს ათვალიერებს. ნაშუადღევის 5 საათზედ მისი უმაღლესობა დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის იახტით აიტოდორს, ყირიმში, წარძანდება.

**კოპენჰაგენი.** 30 ოქტომბერი. ხელმწიფე იმპერატრიცამ და პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძემ ოლდენბურგელმა დაათვალიერეს ფოტოტერაპევტიული ინსტიტუტი პროფესორის ფინზენისა. პრინცი აქ იმ აზრით ჩამობრძანდა, რომ ფინზენის წამლობის მეთოდი გაიცნოს. პრინცთან ჰყავს პროფესორი ჩისტოვიჩი, მკურნალი ბოტკინი და ლუკიანოვი.

**ბრიუსელი.** ბელგიის სასანიტარო დასი, რომელიც ათის მკურნალისა და ოც-და-ითის სანიტარისაგან შესდგება, 10 ნოემბერს მიდის ამსტერდამიდგან სამხრეთ აფრიკაში.

**ლონდონი.** „რეიტერის“ სააგენტო“. მეფეკინგიდგან ოფიციალური დეპეშა მიღებული 18 ოქტომბრის თარიღით, რომ მტერი უფრო ახლო მოადგა ირგვლივ ქალაქსაო; რკინის გზა მეფეკინგიდგან, სამხრეთით ორის მილის მანძილზედ დინამიტით დაანგრია მტერმა. კვლავ ყუმბარებს უშენენ ქალაქს, მაგრამ დიდი ვნება არა მიუციათ-რა. 19 ოქტომბრის თარიღით მოსული დეპეშა იუწყება, რომ მტერმა სცადა ქალაქის იერიშით აღება; თუმცა ინგლისის სამხრეთ აფრიკის ჯარმა საშინელი სროლა აუტეხა, ბურები მამაცად იბრძოდენ. მტერი საკმაოდ დაზარალდა. ინგლისელებს მოუკლეს ორი კაპიტანი და სამი ჯარის კაცი, დაჭრილია ხუთი ჯარის კაცი.

**ბერლინი.** „ვოლფის სააგენტო“. „ossische Zeitung“-ს ბრიუსელიდგან აუწყებენ: აქაურმა ტრანსვაალის აგენტმა ცნობა მიიღო, რომ გენერალი ბულლერი მოვიდა დურბანში, სადაც წარსულს პარასკევს ბრიტანიის 4,000 ჯარის-კაცი მოვიდა. ეს ჯარი სხვასთან ერთად, სულ 10,000 კაცი, წავა უაიტის საშველად, რომელიც ამავე დროს კოლენზოსაკენ გაწევას ეცდება.

1 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** მეოცე ტირაჟში სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლებისა მათდა გამოსასყიდად. ნომრები სერიისა: 2179, 225, 13051, 12159, 15056, 14,879, 6483, 2001, 15649, 7767, 7988, 11143, 11209, 12754, 11081, 2944, 6048, 2068, 2334, 1560, 7385, 12908, 13073, 2724, 2111, 5173, 10444, 15460, 369, 8854, 15829, 11970, 7382, 6044, 11087, 5494, 8708, 2892, 5541, 526, 14454, 5080, 1931, 754, 13993, 7554, 4847, 9963, 6742, 4721, 12222, 6817, 13, 200, 15723, 2302, 8812, 13731, 10231, 10413, 10872, 6386, 13826, 1487, 233, 1782, 66, 5958, 3125, 11306, 1972, 7520, 12720, 11898, 7160, 4670, 12768, 1733, 14497, 15456, 974, 10357, 13932, 5894, 7910, 5703 1218, 7997, 936, 851, 9938, 9289, 2705, 10923, 12, 844, 10315, 13299, 5360, 1971, 14364, 8705, 4383, 11402, 2097, 2343, 7383, 1386, 8739, 4074, 4926, 13276, 923, 10826, 4372, 3161, 8339, 11422, 2056, 6707. 15664, 4679, 13758, 12511, 627, 12935, 1732, 11447, 4073, 2918, 4361, 6900, 9166, 4185, 15197, 1925, 14189, 12910, 13694, 6731, 14456, 2104, 10683, 9785, 8931, 8767, 6269, 8789, 3862, 11697, 10269, 1481. 13574, 15462, 11111, 523, 2532, 4986, 1099, 6543, 15383, 4374, 11548, 7224, 5940, 12542, 6257‘ 13116, 3900, 12946, 8704, 5466, 4337, 2607, 9657, 1887, 7772, 9788, 11427, 9132, 6968, 9835, 2620, 14707; 12304, 14455, 7016, 10517, 8913, 9456, 14550, 12013, 10758, 10313, 13222, 13428, 4786, 4750, 13083, 3773, 9148, 15541, 2796, 13360, 13805, 13929, 12335, 7009, 11291, 5080, 3328, 7176, 2158, 15883, 3087, 14489, 5002, 2770, 2405, 8091, 15716, 13379, 8188, 9940, 2518, 4378.

2 ნოემბერი

**ბერლინი.** გაზეთებს კაპშტადტიდგან ატყობინებენ, რომ აფრიკანდერები მტრულად იქცევიან და ღამღამე რკინის გზებს ვნებენ, რის გამო მიმოსვლა ჩრდილოეთისკენ მიმავალ ყველა რკინის გზებზედ შეჩერებულიაო. ამბობენ, რომ აფრიკანდერების დასაწყნარებლად მთელს კაპის ახალშენში სამხედრო დროის წესრიგი იქმნა შემოღებულიო.

**პარიჟი.** უმაღლესი სასამართლო. საჯარო კრება ოთხშაბათისთვის გადაიდო.

**ლონდონი.** „Times“-ში დაბეჭდილია დეპეშა ჯემსაარიდგან, რომელიც იუწყება, რომ ბურების ჯარის წინ მსვლელობა აღარ შეენიშნავთო. ბურები ამბობენ, რომ ბაზუტოსებს მთავრობა იარაღს ურიგებსო. თუ ბურები ორანჟეს მდინარეს გადავლენ გერშელთან, ბაზუტოსები უეჭველად აჯანყდებიანო.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდგან, რომ ბურთა რაზმი, 800 კაცისაგან შემდგარი, აფონისთანა სდგასო.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ოქტომბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 211½ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 93¼ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | 100 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | 101 | — „ |
| 5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | 99½ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 95 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | 92½ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 305 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | „ — | — „ | 269½ |

### წერილი რედაქციის მიმართ

ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესია, რომელიც სდგას მაღალს გორაზედ და დაჰყურებს მთელს ქუთაისს და მისს არე-მარეს, კარგა ხანია, აშენდა ზოგი მრევლის შემწეობით და ზოგიც კეთილ კაცთა დახმარებით, მაგრამ მას დღეს აკლია ბევრი საჭირო სამკაული. სამკაულს გარდა ეკკლესიის ეზოს, სადაც მრავალნი გარდაცვალებულნი განისვენებენ, არა აქვს გარშემო ზღუდე-გალავანი, ურომლისოდაც შეუძლებელია კაცმა დაიცვას სუფთად ეს ადგილი. ამ ეკკლესიის ეზოში იმარხებოდნენ 1892 წლამდე მრევლთა გარდაცვალებულნიც და გარეშენიც. 1892 წ. მთავრობამ, სცნო-რა შეუძლებლად სასაფლაოს დატოვება ეკკლესიის გალავანში, აღკრძალა იქ დასაფლავება მიცვალებულთა და ამის გამო ეკკლესიას მოაკლდა უმთავრესი წყარო შემოსავლისა. გალავნის გაკეთებას, რომელიც უკიდურესს საჭიროებას შეადგენს, უფულობისა გამო არავინ ჰფიქრობდა, ხოლო ეგრე დატოვებაც არვარგოდა, ამიტომ ვთხოვეთ ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს ბესარიონს ნება მოეცა: თუ რამე საშუალება ექმნებოდა ეკკლესიას, დაგვეწყო გალავნის შენება. ყ-დ სამღვდელომ ნება მოგვცა და დავიწყეთ კიდეც გალავნის შენება, მაგრამ ბევრი ვერა გაკეთდა-რა ეკკლესიის ფულით, რადგან ეკკლესიის შემოსავალი ძლივს ჰფარავს ეკკლესიის უსაჭიროეს ხარჯებს. ამ ეკკლესიის გალავანში დასაფლავებულნი არიან ნათესავნი ისეთ კაცთა, რომელთაც შეძლება აქვთ დაეხმარონ ეკკლესიას გალავნის გაკეთებაში, მაგრამ ზოგნი მათგანი სცხოვრებენ სხვა-და-სხვა ქალაქში და თითქო არც-კი ახსოვთ, რომ იმათ ნათესავების საფლავები არ არის უზრუნველ-ყოფილი გალავნის მხრით. ასეთ კაცთათვის გვსურდა გვეცნობებინა მდგომარეობა იმათ ნათესავების საფლავთა წერილით და გვეთხოვნა შემწეობა გალავნის გასაკეთებლად, მაგრამ, რადგან არ ვიცით ბევრი მათგანის ადრესი, საუმჯობესოდ დავინახეთ მივმართოთ მათ გაზეთის საშუალებით და ვთხოვოთ შემწეობა. ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც ამ ეკკლესიის ეზოში ჰყავს დასაფლავებული გარდაცვალებული ნათესავი, შეძლების დაგვარად შეეწიოს ამ ეკკლესიის გალავნის გაკეთებას და შემოწირულება გამოგზავნოს ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიის მნათეს სახელზედ ქ. ქუთაისში. ამ წერილის გადაბეჭდვას უმორჩილესად ვსთხოვ რუსულ გაზეთებსაც.

მღ. ნესტორ ყუბანეიშვილი


## განცხადებანი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მალაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში,

(50—6.—37) ნ. წერეთელი

1899 წ. 17 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სომხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში მოხდება

## საჯარო ვაჭრობა

სემინარიის კუთვნილის და ქ. ტფილისის მე-III ნაწილში რუსის ქუჩაზედ (იარმუკის მახლობლად) მყოფის 18 დუქნისა და 7 სარდაფის იჯარით გასაცემად 4 წლის ვადით, 1900 წლის 1-ლ იანვრიდგან, ამ ჟამად საიჯარო ფასი წელიწადში შემოდის 3,100 მ. პირობების გაცნობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ-დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

სომხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში 17 ნოემბერს 1899 წ. მოხდება

## საჯარო ვაჭრობა

(ხელმეორე ვაჭრობის მოუხდენლად)

სემინარიის კუთვნილ სოღანლუღის ბაღის იჯარით გასაცემად. პირობების გაცნობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2საათამდე.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნები:

თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი

ფასი 1 მან.

და

**ქართული სახალხო სიმღერები,**

ნოტებზედ გადმოღებული ი. გ. კარგარეთელის მიერ.

ფასი 50 კ.

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის კავკასიის ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—32)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5.—20)



სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე